ინფორმაცია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის პროგრამაზე „ისწავლე და დასაქმდი“ დარეგისტრირებულთათვის

მოკლევადიან პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე დარეგისტრირებული ბენეფიციარებისათვის კოლეჯში გაიმართება **შერჩევა-გასაუბრება**

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

- მინიმალური ასაკი 18 წელი.
- ქალაქ თბილისში რეგისტრაცია.
- მოკლევადიან პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე *„ინტერიერის დიზაინი-3D designer“* დაშვების დამატებითი წინაპირობაა Adobe-ფოტოშოპის საფუძვლების ცოდნა.

პროგრამაზე მოხვედრის ეტაპები:

- დოკუმენტაციის გადარჩევა.
- გასაუბრება.
- მოკლევადიან პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე *„სოციალური მედიის მართვა“* დაშვების დამატებითი წინაპირობაა გასაუბრება ინგლისური ენის ცოდნის შესამოწმებლად და წერის უნარ-ჩვევების გასაზომად B1.

კონკურსის შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭებათ: სოციალურად დაუცველებს, იძულებით გადაადგილებულ პირებს, მრავალშვილიანი ოჯახის წევრებს, მარჩენალდაკარგულებს და შეზღუდული შესაძლებლობის პირებს.

შერჩევის გავლის შემდეგ პროგრამებზე ჩასარიცხად საჭირო დოკუმენტებია:

- წერილობითი განცხადება;
- პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- 2 ცალი ფერადი ფოტოსურათი ზომით 3x4-ზე;
- საბაზო საფეხურის ან სრული ზოგადი ან პროფესიული/უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის დედანი ან/და ასლი *(არსებობის შემთხვევაში);*
- უცხოეთში მიღებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის შემთხვევაში სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების დოკუმენტი *(არსებობის შემთხვევაში);*
- თბილისში რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი *(საინფორმაციო ბარათი).*

მის: თბილისი, გლდანი, მე-5 და მე-6 მკ/რ შორის, ილია ვეკუას ქუჩა, N44
ტელ: 032 2 14 03 14, 032 2 14 03 15